საქართველოს მთავრობის

დადგენილება №414

2012 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, 2005 წელი, მუხლი 1068) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე3 მუხლის:

ა) მე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. ლიცენზია გაიცემა ლიცენზიის მაძიებლის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის (ქვითრის) წარდგენიდან 30 კალენდარულ დღეში.“;

ბ) 21ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„21. აუქციონის გამართვის, გამარჯვებულის გამოვლენისა და შესაბამისი სალიცენზიო მოწმობის (მათ შორის, ელექტრონული ფორმით სალიცენზიო მოწმობის) გაცემის წესს ადგენს სააგენტო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.“.

2. მე-7 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ^{1}“ ქვეპუნქტი:

„თ^{1}) საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო უფლებამოსილია, ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წიაღისეულის შესწავლისათვის ერთჯერადად, დამატებითი ვადის განსაზღვრისას, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება ლიცენზიით გათვალისწინებული სალიცენზიო ფართობის შემცირების თაობაზე.“.

3. 7^{3} მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ინფორმაცია – მოპოვებული რესურსის ოდენობის შესახებ და ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის თაობაზე, რომლის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის მფლობელს.“.

4. 7^{5} მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ლიცენზიის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, ლიცენზიის გამცემს განცხადებასთან ერთად წარუდგინოს ინფორმაცია – მოპოვებული რესურსის ოდენობის შესახებ და ანგარიში სალიცენზიო პირობების დაცვის თაობაზე, რომლის სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ლიცენზიის მფლობელს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.